



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 8 სექტემბრის  
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურა როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია კორკოტაძე; მარიამ კუბლაშვილი (Webex პლატფორმით - დისტანციურად).

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

(ა) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლევან ენდელაძეს წარმოდგენილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირის განცხადებები თანდართული

დოკუმენტებით აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლევან ენდელაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ანა კუციამ საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა კუციას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(გ) წევრები გაეცნენ გიორგი მარკოზაშვილის 2020 წლის 18 აგვისტოს განცხადებას გაწევრიანების შესახებ და თანდართულ დოკუმენტებს.

მსჯელობის შემდეგ, წევრებმა განაცხადეს, რომ გიორგი მარკოზაშვილის განცხადება ვერ დაკმაყოფილდება შემდეგი გარემოებების გამო:

- გიორგი მარკოზაშვილის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით ირკვევა, რომ მას აღნიშნული გამოცდა ჩაბარებული აქვს 2008 წლის 26 ნოემბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას, ან

არ გამწესდება მოსამართლედ ანდა პროკურორად. შეესაბამისად, გ. მარკოზაშვილის მიერ წარმოდგენილ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მოქმედების ვადა ამოიწურა 2018 წლის 26 ნოემბერს.

- გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი („მის მიერ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად“).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ციცილო ცხვედიანი, ზურა როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია კორკოტაძე; წინააღმდეგი 1 - მარიამ კუბლაშვილი), მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ დაკმაყოფილდეს გიორგი მარკოზაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის შესახებ.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ეკატერინე ჩარკვიანის, ნინო ბალახაშვილის, არჩილ კალანდაძის, მარიკა ნიაზაშვილის, სალომე პოლიკაშვილის, სოფიო ჩიჩუას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ეკატერინე ჩარკვიანის, ნინო ბალახაშვილის, არჩილ კალანდაძის, მარიკა ნიაზაშვილის, სალომე პოლიკაშვილის, სოფიო ჩიჩუას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, **ეკატერინე წაწალაშვილის, კახაბერ სოფრომაძის, გიორგი ჯანაშიას, ნანო გუჯაბიძის და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირის მათა ტარულიშვილის** განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების

განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - მაია ტარულიშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ასოციაციის წევრების განცხადებების განხილვა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთაც დაუკმაყოფილდათ განცხადებები 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის წევრებს, წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიეწოდათ ინფორმაცია „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, დადგენილ ვადაში ასოციაციისთვის მომართვის თაობაზე, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ასოციაციას დაგვიანებით მომართა დამატებით 6-მა წევრმა (მარიკა გერსამია, ხათუნა მანჯგალაძე, მიხეილ კუხიანიძე, თამარ ნიკოლეიშვილი, თეიმურაზ მეზერიშვილი, შალვა გეწაძე), აღნიშნული გეგმის ფარგლებში დადგენილი ვადით 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაგვიანებით მომართვის მიუხედავად, მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას კოლეგების მიერ განცხადებებში მითითებული გარემოებები და მათაც მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის მ/წლის 1 დეკემბრამდე გადავადების შესაძლებლობით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, ასოციაციაში დამატებით შემოსული 6 წევრის (მარიკა გერსამია, ხათუნა მანჯგალაძე, მიხეილ კუხიანიძე, თამარ ნიკოლეიშვილი, თეიმურაზ მეზურიშვილი, შალვა გეწაძე) განცხადება, აღნიშნული გეგმის ფარგლებში დადგენილი ვადით 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე.
- აღნიშნულ წევრებს გადაუვადდეთ 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

საკითხი 5. ადვოკატების განცხადებების განხილვა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ

წევრები გაეცნენ:

(ა) კარლო სიჭინავას 2020 წლის 13 აგვისტოს განცხადებას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე. განცხადებაში მითითებული იყო, რომ იგი არის მე-3 ჯგუფის ინვალიდი და შესაბამისი დახმარების (92 ლარი) გარდა, არ გააჩნდა სხვა შემოსავალი. ასევე, იგი იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, 2019 წლამდე სარგებლობდა 50%-იანი საშელავათო საწევროთი; ხოლო 2019 წლიდან, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, იგი სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 75%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევრო გადასახადის ოდენობა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კარლო სიჭინავას განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“

ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იმავე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

- არ დაკმაყოფილდეს კარლო სიჭინავას განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემართოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ბ) ეკატერინე აბჯანდაძის 2020 წლის 17 აგვისტოს განცხადებას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე გამოწვეული პრობლემების გამო, 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განცხადებას თან ერთვოდა სამედიცინო დოკუმენტაცია - ფორმა N100.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც რეგიონში გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად რეგისტრირებული პირი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევრო გადასახადის ოდენობა შეადგენს - 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ეკატერინე აბჯანდაძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 -

ელ დეკემბრამდე. ამავდროულად, ეკატერინე აბუანდაძეს ეცნობოს ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდისთვის მიმართვის წესის თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

- არ დაკმაყოფილდეს ეკატერინე აბუანდაძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
- ეკატერინე აბუანდაძეს ეცნობოს ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდისთვის მიმართვის წესის თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

**საკითხი 6. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე საკითხის განხილვა**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დღევანდელი მდგომარეობით 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა შეადგენს -1530 ადვოკატს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასოციაციამ წევრებს მისცა 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების შესაძლებლობა, რომლითაც ჯამში ისარგებლა 310 - მა ადვოკატმა. აღნიშნულ 1530 ადვოკატს არ მოუმართავს საწევროს გადახდის გადავადების მოთხოვნით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტით დადგენილი საწევროს გადახდის წესის თანახმად, 2020 წლის საწევროს გადახდის ვადა ამოიწურა 8 თვის წინ და ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია, საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, მოხდეს მათი ინფორმირება საწევრო დავალიანების გადახდის თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად მან წევრებს შესთავაზა 2020 წლის 3 ნოემბერი.



მსჯელობის შედეგად აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 3 ნოემბრი.

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ დავალიანების მქონე წევრებს ეცნობოთ ასოციაციის ვებგვერდისა და Facebook გვერდით, ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით გზით.

საკითხი 7. 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის თარიღების და გამოცდების ჩატარების ადგილის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის თარიღებად 2020 წლის 9 სექტემბრიდან - 2020 წლის 9 ოქტომბრამდე, ხოლო გამოცდების ჩატარების ადგილად საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დამტკიცების თაობაზე.

მათ მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის თარიღებად დამტკიცდეს 2020 წლის 9 სექტემბერი - 2020 წლის 8 ოქტომბრის 18:00 საათი;
- 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ადგილად დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მისამართი: თბილისი, წინანდლის ქუჩა N9).

საკითხი 8. 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2020 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და საქართველოს სამოქალაქო საპროესო კოდექსის მე-5 (1) პრიმა მუხლი, რომლის თანახმად, დაწესდა არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილე პირთა სპეციალიზაციის ქონის სავალდებულობა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების არსებულ საგამოცდო პროგრამას დაემატოს „ბავშვის უფლებათა კოდექსი“.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).**

**საკითხი 9. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების (თამაზ, ქოქოშვილი, მალხაზ აბულაძე, გიორგი კეკელიძე, ნათელა გოდერიძე, თინათინ ბასილაშვილი, გიორგი ძიგუა, თამთა აშორტია, ლევან ხელაია) აპლიკაციებს თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად თამაზ, ქოქოშვილის, მალხაზ აბულაძის, გიორგი კეკელიძის, ნათელა გოდერიძის, თინათინ ბასილაშვილის, გიორგი ძიგუას, თამთა აშორტიას და ლევან ხელაიას კანდიდატურები**

**საკითხი 10. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლი) სპეციალიზაციის კურსის 2015 წლის 9 დეკემბერს მიღებულ დებულებაში ცვლილებების შეტანა.**

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს გააცნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლი) სპეციალიზაციის კურსის 2015 წლის 9 დეკემბერს მიღებულ დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროებში წესდება სპეციალიზაციის ერთგვაროვანი სტანდარტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლი) სპეციალიზაციის კურსის 2015 წლის 9 დეკემბერს მიღებულ დებულებაში შესატანი ცვლილებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

**საკითხი 11. ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო - სახელფასო განრიგში ცვლილებების შეტანის საკითხს განხილვა.**

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო - სახელფასო განრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კერძოდ: მან განაცხადა, რომ მიმდინარე პერიოდში ასოციაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ახალი მიმართულების შექმნის საჭიროება, რაც გულისხმობს ახალი სტრუქტურული ერთეულის - „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ შექმნას, რომელიც გააერთიანებს შიდა (წევრებთან) და გარე კომუნიკაციას, წევრთათვის კორპორატიული შეთავაზებების და ორგანიზაციის პრობონო პროექტების მიმართულებებს. შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს დაექვემდებარება საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და ასოციაციის ჟურნალის რედაქტორი, რომელთა საშტატო ერთეული მანამდე შედიოდა ადმინისტრაციის შემადგენლობაში. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, უქმდება საშტატო ერთეული - კომიტეტების კოორდინატორი, რომლის ფუნქციები მოექცევა ახალი სტრუქტურული ერთეულის (საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის) უფროსის კომპეტენციაში და რომლის სახელფასო განაკვეთი განისაზღვრება სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა სახელფასო განაკვეთის ოდენობით - 2450 (ორი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი, საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით. აღნიშნული სახელფასო განაკვეთი არ იწვევს მიმდინარე წლის სახელფასო ფონდის გაზრდას, რადგან მ/წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში არ იგეგმება კადრის აყვანა საშტატო განრიგში არსებულ ვაკანტურ საშტატო ერთეულზე - „ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი“. შესაბამისად, შტატისათვის განსაზღვრული ანაზღაურებაც ექვემდებარება შეჩერებას მითითებული ვადით. ამრიგად, „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ უფროსის ანაზღაურება მოხდება სახელფასო ფონდიდან დაზოგილი თანხებით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაცია“ სახელწოდებაში და წარმოდგენილია მისი ფორმულირება შემდეგნაირად: „ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი“.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებების პაკეტს. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ახალი საშტატო ერთეულის - „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ უფროსის ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებით, აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის მოქმედი კომიტეტების კოორდინატორი - თამთა დევდარიანი, რომელიც 2020 იანვრიდან ასრულებს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობას, აქტიურად მუშაობს როგორც ასოციაციის პრობონო პროექტების მიმართულებით, ასევე, მუდმივად ჩართულია კომიტეტების საქმიანობაში. გარდა ამისა, მისი უშუალო მონაწილეობით, წარმატებულად განვითარდა კორპორატიული შეთავაზებების მიმართულება ასოციაციის წევრებისათვის და ფაქტიურად, მას უკვე აქვს აღნიშნული შტატით გათვალისწინებული ფუნქცია - მოვალეობების შესრულების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ რადგან უქმდება თამთა დევდარიანის მიერ ამჟამად დაკავებული საშტატო ერთეული - კომიტეტების კოორდინატორი და მას გააჩნია ახალი სტრუქტურული ერთეულის სამიქნობის მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება, „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ უფროსის ვაკანტური პოზიციის შეთავაზება მოხდეს თამთა დევდარიანისთვის, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების გარეშე, მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, მიზანშეწონილია, ჯერ შიდა კადრისთვის მოხდეს ვაკანტური პოზიციის შეთავაზება, იმის გათვალისწინებით, რომ თამთა დევდარიანი აკმაყოფილებს ამ პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უკვე ფლობს შესაბამის სამუშაო გამოცდილებას, ამასთან, უქმდება მის მიერ ამჟამად დაკავებული საშტატო ერთეული.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო - სახელფასო განრიგში შესატანი ცვლილებების პაკეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3);

- გაუქმდეს ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში არსებული „კომიტეტების კოორდინატორის“ საშტატო ერთეული;
- შეჩერდეს ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში არსებული „ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის“ საშტატო ერთეულისთვის დადგენილი სახელფასო ანაზღაურება 2020 წლის ოქტომბერი-დეკემბერი პერიოდისთვის და შესაბამისი ცვლილება აისახოს ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტის სახელფასო ფონდში;
- ასოციაციის აპარატში შეიქმნას „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტი“ და მის დაქვემდებარებაში შევიდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის და ასოციაციის ჟურნალის რედაქტორის საშტატო ერთეულები; ამასთან, შეიქმნას „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ უფროსის საშტატო ერთეული.
- ასოციაციის „საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის“ უფროსის პოზიციაზე დამტკიცდეს თამთა დევდარიანის კანდიდატურა და აღნიშნულ საშტატო ერთეულზე სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 2450 (ორი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით);
- შეიცვალოს ადვოკატთა ასოციაციის სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაცია“ სახელწოდება და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი“;
- განახლდეს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო - სახელფასო განრიგი სხდომაზე დამტკიცებული ცვლილებების შესაბამისად (იხ. დანართი 3).
- ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდეს 2020 წლის 15 სექტემბრიდან.

საკითხი 12. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ასოციაცია საჭიროებს თავმჯდომარის და მმართველი ორგანოების გაუმჯობესებულ საარჩევნო სისტემას და პროცესს, რომელიც იქნება მაქსიმალურად დახვეწილი და ხელს შეუწყობს გამართული და ორგანიზებული არჩევნების პროცესის ჩატარებას. ამ მიზნით, აუცილებელია სისტემის რეფორმაზე მუშაობა, რომელსაც მხარს უჭერს ევროპის საბჭო და USAID. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართულებით სამუშაო

პროცესის დასაწყებად საჭიროა მცირე ფორმატის სამუშაო ჯგუფის შექმნა. მან წევრებს წარუდგინა კანდიდატურები ასოციაციის საარჩევნო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობისთვის: 1. დავით ასათიანი, 2. გიორგი ჭეხანი, 3. თამთა დევდარიანი, 4. სალომე ტყეშელაშვილი, 5. თორნიკე ბაქრაძე, 6. ამირან გიგუაშვილი, 7. მამუკა ნოზაძე, 8. მარიამ კუბლაშვილი, 9. ივანე პეტრიაშვილი, 10. სალომე ბეჟაშვილი, 11. ლოლიტა კურკუმული, 13. რაჭდენ კუპრაშვილი, 14. ანა ლორია, 15. გიორგი მშვენიერაძე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ ისინი მიესალმებიან აღნიშნულ ინიციატივას და ეთანხმებიან თავმჯდომარის პოზიციას ორგანიზაციის საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების საჭიროებასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის წარმოდგენილი შემადგენლობაც მათთვის მისაღებია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 13. ასოციაციის წევრების გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად ცნობად მიღება და შესაბამისი ცვლილების შეტანა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

წევრები გაეცნენ ადვოკატების - მაია წერეთელის (სიითი N 1325), ქეთევან ნადაშვილის (სიითი N 2885), ჯემალ კვიციანი (სიითი N 5006) გარდაცვალების მოწმობის ასლებს. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული მაია წერეთელის (სიითი N 1325), ქეთევან ნადაშვილის (სიითი N 2885) და ჯემალ კვიციანის (სიითი N 5006) გარდაცვალების ფაქტი და წევრები ამოღებულ იქნან ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

#### საკითხი 14. სხვადასხვა:

წევრები გაეცნენ:

(ა) გიორგი მიქელაძის 2020 წლის 13 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც მითითებულია, რომ 2016-2019 წლებში იგი იყო ასოციაციის წევრი. აღნიშნულ პერიოდში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას - კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტში და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალში. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობას აწარმოებდა მხოლოდ აჭარის რეგიონში, თუმცა ადვოკატთა ასოციაციაში არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია.

განცხადებაში მითითებული იყო, რომ ზ/ხსენებული ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო, მას ჰქონდა სამი წლის საწევრო დავალიანება 600 ლარის ოდენობით. განმცხადებელს სურდა სტატუსის აღდგენა და ითხოვდა აჭარის რეგიონში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი), მის მიმართ არსებულ საწევრო დავალიანებაზე შეღავათის გავრცელებას და 600 ლარის ნაცვლად, დავალიანების განსაზღვრას 300 ლარის ოდენობით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გიორგი მიქელაძე 2015 წლიდან ირიცხებოდა ასოციაციის წევრთა სიაში. 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, სამი წლის საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, მას შეუწყდა წევრობა. საწევრო შეღავათის სარგებლობისთვის, გიორგი მიქელაძის მიერ არანაირი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი ასოციაციაში და შესაბამისად, მის მიერ ყოველწლიურად გადასახდელი საწევროს ოდენობა განსაზღვრული იყო 200 (ორასი) ლარით, ხოლო ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განმცხადებლის მიმართ არსებული 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების ოდენობა შეადგენდა 600 (ექვსასი) ლარს.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და გაეცნენ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტიდან 2020 წლის 13 აგვისტოს გაცემულ ცნობას, 2015 წლის 14 თებერვლიდან მოწვეული ლექტორის თანამდებობაზე უწყვეტად მუშაობის შესახებ.

მათ განაცხადეს, რომ აღნიშნული ცნობით დასტურდება გიორგი მიქელაძის სამუშაოს ადგილმდებარეობა. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა ჩაითვალოს რეგიონში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დასტურად,

რაც შეესაბამება აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ 50% -იან საშეღავათო კრიტერიუმს.

აქედან გამომდინარე, საბჭო თვლის, რომ გ. მიქელაძის განცხადება წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე მის მიმართ არსებულ საწევრო დავალიანებაზე 50% -იანი შეღავათის გავრცელების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და აღნიშნული დავალიანება განისაზღვროს 300 ლარით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს გიორგი მიქელაძის განცხადება წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე მის მიმართ არსებულ საწევრო დავალიანებაზე 50% - იანი შეღავათის გავრცელების თაობაზე და აღნიშნული დავალიანება განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით 600 ლარის ნაცვლად;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ბ) ადვოკატ გელა ჩივაძის 2020 წლის 19 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და ეთიკის კომისიის ერთ-ერთი კოლეგიის შემადგენლობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

წევრები გაეცნენ განცხადებას. მათ განაცხადეს, რომ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს საბჭომ უკვე იმსჯელა გელა ჩივაძის და სოსო კორკელიას 2020 წლის 31 ივლისის ერთობლივ განცხადებაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეთიკის კომისიისადმი მიმართვის თაობაზე, განცხადებაში აღნიშნულ საკითხებზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით რეაგირების თხოვნით.

აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარეობს აღნიშნულ დისციპლინურ საქმეზე განხილვა და ამდენად, ამ ეტაპზე არ არსებობს საერთო კრების მოწვევის საფუძველები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: გელა ჩივაძეს განემართოს აღმასრულებელი საბჭოს პოზიცია მის მიერ 2020 წლის 19 აგვისტოს წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით.

(გ) თემურ ყულოშვილის 2020 წლის 20 აგვისტოს განცხადებას თანდართული დოკუმენტებით. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 1994 წლიდან 2020 წლის აპრილამდე მას ჰქონდა საქართველოს პროკურატურის სისტემაში გამომძიებლად



მუშაობის გამოცდილება. 2002 წელს ჩაბარებული ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2007 -2009 წლებში - ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები სისხლის და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციების მიმართულებით. განმცხადებელი ითხოვდა ინფორმაციის მიწოდებას, შეეძლო თუ არა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაცია შემდგომში ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

წევრები გაეცნენ თ. ყულოშვილის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. წარმოდგენილი სერტიფიკატებით ირკვეოდა, რომ მას პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 2002 წლის 11 ნოემბერს. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა - 2007 წლის 13 ივნისს, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა - 2009 წლის 27 ივნისს, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტით ირკვევა, რომ მან საქართველოს პროკურატურაში საქმიანობა დაიწყო 1994 წელს. კერძოდ: 1994-1995 წლებში იგი იყო თბილისის სარაიონთაშორისო პროკურატურის სტაჟიორი; 1995-1997 წლებში - თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის სტაჟიორი უფროსი გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე; 1997-2004 წლებში - საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 2004 წლის ივლისი-აგვისტო - საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი და საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მოვალეობის შემსრულებელი; 2004-2008 წლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 2008-2010 წლებში - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 2010-2012 წლებში - საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 2012-2016 წლებში - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 2016 წლის 27 თებერვლიდან 2020 წლის 6 აპრილამდე - შიდა ქართლის და მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, განმცხადებელი ვერ შეძლებს ასოციაციაში გაწევრიანებას, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად (ადვოკატთა

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას), თ. ყულოშვილის მიერ წარმოდგენილ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატებს მოქმედების ვადა ამოეწურა 2017 წლის 13 ივნისს და 2019 წლის 27 ივნისს, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (მის მიერ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად), თ. ყულოშვილის მიერ 2002 წლის 30 ნოემბერს ჩაბარებული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატი, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოადგენს გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: თემურ ყულოშვილს მიეწოდოს ინფორმაცია პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაციის და ასოციაციაში გაწევრიანებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესახებ.**

**(დ) ლევან მღებრიშვილის 2020 წლის 20 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი არ ეთანხმება აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებას, რომლითაც აღნიშნულ სხდომაზე მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა.**

ამჟამად წარმოდგენილ განცხადებაში ლ. მღებრიშვილი ითხოვდა განმარტებებს ასოციაციის მხრიდან მისთვის წევრობის შეწყვეტის ვალდებულების წარმოშობის პერიოდის, საწევროს დარიცხვის საფუძვლის და საწევრო გადასახდის დავალიანების სახით დარიცხვის სამართლებრივი ნორმის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ მათ 2020 წლის 6 აგვისტოს იმსჯელეს ლევან მღებრიშვილის განცხადებაზე და მას მიეწოდა ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის მის მიმართ წევრობის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების და იმ სამართლებრივი ნორმების მითითებით, რომლებიც არეგულირებს საწევროს გადახდის წესს, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის, საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში წევრობის

შეწყვეტის საფუძვლებს და წესებს. მათ ასევე განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს ყველა გადაწყვეტილება არის საჯარო, რომლებიც განთავსებულია ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: ლევან მღებრიშვილს დამატებით განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2020 წლის 06 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

(ე) გიორგი დოლონაძის 2020 წლის 18 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2007-2008 წლებში იგი გაწევრიანდა ასოციაციაში და შეიჩერა უფლებამოსილება. ადვოკატის მოწმობა არ ჰქონდა აღებული და განცხადებაში ითხოვდა აღნიშნული საკითხის განხილვას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში არ ირიცხებოდა პირი სახელით და გვარით „გიორგი დოლონაძე“. ასოციაციაში დაცულ წევრთა პირადი საქმეების არქივში არ მოიძებნა გიორგი დოლონაძის პირადი საქმე და ასოციაციის წევრთა ერთიანი მონაცემთა ბაზა არ მოიცავს ინფორმაციას გიორგი დოლონაძის ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: გიორგი დოლონაძეს მიეწოდოს ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიანი მონაცემთა ბაზაში მისი ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ინფორმაციის არარსებობის თაობაზე და დამატებით ეცნობოს, ასოციაციაში გაწევრიანების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შესახებ.**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე